



ეკონომიკა

ტურიზმი: 2021 წლის სექტემბერში, ტურისტების რიცხვმა 2019 წლის სექტემბრის დონის 39% შეადგინა, რაც გაუმჯობესებული მაჩვენებელია 2021 წლის ზაფხულის სეზონის აღდგენის დინამიკასთან შედარებით (აღნიშნულ პერიოდში საშუალოდ 33%-იან აღდგენას ჰქონდა ადგილი 2019 წლის დონესთან შედარებით). აღსანიშნავია, რომ წინა თვეების მსგავსად, 2021 წლის სექტემბერში ტურიზმის შემოსავლები უფრო სწრაფად აღდგა, ვიდრე ვიზიტორების რაოდენობა და 2019 წლის სექტემბრის შემოსავლების 50.8% შეადგინა. შემოსავლების უფრო სწრაფი აღდგენის მთავარი მიზეზია ის, რომ ვიზიტორების ნაკადებში ტურისტები ჭარბობენ, რომლებიც ერთდღიან ვიზიტორებთან შედარებით ბევრად მეტს ხარჯავენ (აღსანიშნავია, რომ მას შემდეგ, რაც ტურიზმის აღდგენა დაიწყო 2021 წლის აპრილიდან, ტურისტების რაოდენობა საშუალოდ 2019 წლის დონის 30%-ს შეადგენს, ხოლო იმავე პერიოდში ერთდღიანი ვიზიტორები საშუალოდ 2019 წლის მხოლოდ 5%-ის ნიშნულზე და შესაბამისად შემოსავლები უფრო სწრაფად აღდგა). ამრიგად, 2021 წლის სექტემბერში 226.7 ათასი საერთაშორისო ვიზიტორი (+348.8% წ/წ) მოგზაურობდა საქართველოში და ყველაზე მეტი ვიზიტორი შემოვიდა რუსეთიდან (14.6% წილი ჯამურ ვიზიტებში), რასაც მოჰყვა თურქეთი (14.2% წილი) და უკრაინა (10.1% წილი). ამასთან, ვიზიტორთა უმრავლესობა საქართველოში შემოვიდა საავტომობილო ტრანსპორტით (58.1% წილი), რასაც მოჰყვა საჰაერო გზით შემოსვლა (40.8% წილი). ჯამურად 2021 წლის იანვარ-სექტემბერში, საქართველოს 1.2 მილიონი საერთაშორისო ვიზიტორი ეწვია (-13.2% წ/წ, 2019 წლის დონის 19.9%) და ტურიზმის შემოსავლებმა 865.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (+73.5% წ/წ, 2019 წლის დონის 33.5%).

საგარეო ვაჭრობა: საქსტატის მონაცემებით, 2021 წლის სექტემბერში ექსპორტი წლიურად 12.8%-ით გაიზარდა 373.6 მლნ აშშ დოლარამდე, გასული წლის მაღალი ბაზიდან. ამასთან, ექსპორტი მნიშვნელოვნად, 22.3%-ით არის გაზრდილი 2019 წლის სექტემბრის დონესთან შედარებით. სექტემბერში იმპორტი წლიურად 23.4%-ით გაიზარდა 925.8 მლნ აშშ დოლარამდე (+15.1% 2019 წლის სექტემბერთან შედარებით), რაც ძირითადად ნავთობპროდუქტების იმპორტის ზრდამ განაპირობა. შედეგად, სავაჭრო დეფიციტი წლიურად 31.8%-ით გაიზარდა სექტემბერში.

2021 წლის სექტემბერში სპილენძი (-32.4% წ/წ), ფეროშენადნობები (+46.4% წ/წ), მანქანები (+44.9% წ/წ), თხილი (+24.6% წ/წ) და ღვინო (+22.0% წ/წ) იყო ტოპ 5 ექსპორტირებული საქონელი. ამასთან, ექსპორტის 14.9% ევროკავშირზე მოდიოდა (-5.9% წ/წ), 48.0% დსთ-ზე (+23.1% წ/წ) და 37.1% სხვა ქვეყნებზე (+9.7% წ/წ).

2021 წლის სექტემბერში ტოპ 5 იმპორტი იყო სპილენძი (-18.6% წ/წ), ნავთობი (+102.9% წ/წ), მანქანები (-8.1% წ/წ), მედიკამენტები (+9.8% წ/წ) და გამომთვლელი მანქანები (+455.7% წ/წ).

ჯამურად, 2021 წლის პირველ 9 თვეში, სავაჭრო ბალანსი წლიურად 19.9%-ით გაუარესდა და 4.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რადგან ექსპორტი 24.0%-ით გაიზარდა 3.0 მლნ აშშ დოლარამდე (+9.0% 2019 წლის პირველ 9 თვესთან შედარებით), ხოლო იმპორტი 21.6%-ით გაიზარდა 7.0 მლნ აშშ დოლარამდე (+3.3% 2019 წლის პირველ 9 თვესთან შედარებით).

მწარმოებელთა ფასების ინდექსი: საქსტატის მონაცემებით, 2021 წლის სექტემბერში მწარმოებელთა ფასების ინდექსი წლიურად 16.8%-ით გაიზარდა, წინა თვის 16.4%-იანი ზრდის შემდეგ. ინდექსის ფორმირებაზე ძირითადი ზეგავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ სექციებში: დამამუშავებელი მრეწველობა (+19.5%) და ელექტროენერგია, აირი და კონდიციონერული ჰაერი (+11.4%).


ეკონომიკური ინდიკატორები

	2019	2020
რეალური მშპ-ს ზრდა	5.0%	-6.2%
მშპ ერთ სულზე (ppp)	15,613	14,918
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	4,696	4,275
მოსახლეობა (მლნ)	3.7	3.7
ინფლაცია, პერიოდის ბოლო	7.0%	2.4%
საერთ. რეზერვები (მლრდ აშშ \$)	3.5	3.9
მიმდ. ანგარ. დეფიციტი (მშპ-ს %)	5.5%	12.4%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	2.1%	9.3%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	40.4%	60.0%
Fitch/S&P/Moody's*	BB/BB/Ba2	


წყარო: ოფიციალური მონაცემები, სარეიტინგო სააგენტოები

*უახლესი საკრედიტო რეიტინგები

შემოსავლები ტურიზმიდან, 2021 წელი %-ად 2019 წელთან შედარებით



ექსპორტის ზრდის ტემპი, წლიური და 2019 წელთან შედარებით





ფულადი ბაზარი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბენჩმარკ ობლიგაციები: საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2021 წლის 19 ოქტომბერს 10-წლიანი 25.0 მლნ ლარის (8.0 მლნ აშშ დოლარი) ოდენობის ბენჩმარკ ობლიგაციები გაყიდა. ამასთან, მოთხოვნა დაახ. 1.8-ჯერ მაღალი იყო და საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა აუქციონთან შედარებით, რომელიც 2021 წლის ივლისში გაიმართა, 0.3133%-ით გაიზარდა და 9.248% შეადგინა.

უახლოესი აუქციონი დაგეგმილია 2021 წლის 26 ოქტომბერს, სადაც 5-წლიანი 85 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების ბენჩმარკ ობლიგაციები გაიყიდება.


სახაზინო ფასიანი ქაღალდები,
2021 წელი

ვალიანობა	გამოშვება წლის დასაწყისიდან მლნ ლარი	დარჩენილი გამოშვება მლნ ლარი	დარჩენილი ვალდებულება*
6-თვე	125	40	75
1-წელი	135	60	255
2-წელი	190	100	980
5-წელი	330	255	2,520
10-წელი	94	0	1,306
სულ	874	455	5,136

წყარო: ფინანსთა სამინისტრო


შენიშვნა: * 2021 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით

სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: სეზ

განხორციელებული ემისია და მოთხოვნა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ბოლო აუქციონებზე, მლნ ლარი




წყარო: სეზ

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, წლიური ინფლაცია და ლარის გაცვლითი კურსი



წყარო: სეზ, საესტატი

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სეზ

შენიშვნა: ინდექსის ზრდა/კლება ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას/გაუფასურებას




ობლიგაციები

კორპორატიული ევროობლიგაციები: საქართველოს ბანკის ჯგუფის ევროობლიგაცია (GEBGG) დაიხურა 2.23%-იანი შემოსავლიანობით, ფასით 106.44 (+0.74% წინა კვირასთან შედარებით). საქართველოს კაპიტალის ევროობლიგაციებით (GEOCAP) ვაჭრობა დაიხურა ფასით 103.11 (+0.17% წინა კვირასთან შედარებით), 4.72%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს რკინიგზის ევროობლიგაცია (GRAIL) ივაჭრებოდა 101.42 ფასად (-0.29% წინა კვირასთან შედარებით), 3.76%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს სუვერენული ევროობლიგაცია (GEORG) დაიხურა ფასით 100.81 (-0.20% წინა კვირასთან შედარებით), 2.56%-იანი შემოსავლიანობით.

ევროობლიგაციები (შემოსავლიანობა)



წყარო: Bloomberg

ქართული ობლიგაციების ძირითადი მონაცემები

ევროობლიგაციები									
გამომშვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ აშშ \$	კუპონი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps	
GEORG 04/26	USD	500	2.750%	Apr-26	BB/BB/Ba2	100.81	2.56	132.92	
GRAIL 06/28	USD	500	4.000%	Jun-28	BB-/B+/-	101.42	3.76	231.72	
GEBGG 07/23	USD	350	6.000%	Jul-23	BB-/B/Ba2	106.44	2.23	168.45	
GEBGG 11 1/8 PERP	USD	100	11.125%	n/a	B-/B1	110.58	9.28	589.49	
GEOCAP 03/24	USD	300	6.125%	Mar-24	-/B/B2	103.11	4.72	396.47	
SILKNET 04/24	USD	200	11.000%	Apr-24	B-/B1	108.14	7.28	433.81	
TBC 06/24	USD	300	5.750%	Jun-24	BB-/B/Ba2	107.22	2.90	205.55	
TBC PERP	USD	125	10.775%	n/a	B-/B1	110.55	9.44	584.40	
GGU 07/25	USD	250	7.750%	Jul-25	B+/B/-	106.52	5.79	380.02	

ადგილობრივი ობლიგაციები


KTW 12/22	USD	10	9.00%	Dec-22	-/-/-	n/a	n/a	n/a	
GWP 12/21	GEL	30	12.50%	Dec-21	BB-/B1/-	n/a	n/a	n/a	
M2CA 12/21	USD	30	7.50%	Dec-21	-/-/-	100.00	7.50	n/a	
M2RE 10/22	USD	35	7.50%	Oct-22	-/-/-	100.43	7.20	n/a	
GLC 08/22	USD	10	7.50%	Aug-22	-/-/-	n/a	n/a	n/a	
GLC 07/23	USD	12	5.75%	Jul-23	-/-/-	n/a	n/a	n/a	
GLC 07/23	EUR	3	4.75%	Jul-23	-/-/-	n/a	n/a	n/a	
SILKNET 04/24	GEL	34	12.50%	Apr-24	B+/B1/-	n/a	n/a	n/a	
Geo. Beer Company	GEL	25	13.00%	Dec-23	-/-/BB-	n/a	n/a	n/a	
Lisi Lake Development	USD	12	8.00%	Dec-21	-/-/B+	n/a	n/a	n/a	
Tegeta 04/22	GEL	30	10.75%	Apr-22	-/-/BB-	n/a	n/a	n/a	
EVEX 11/24	GEL	50	12.10%	Nov-24	-/-/BB	n/a	n/a	n/a	

წყარო: Bloomberg



აქციები


საქართველოს ბანკის ჯგუფი (BGEO LN)



წყარო: Bloomberg

საქართველოს ბანკის ჯგუფის (BGEO LN) აქციები დაიხურა 15.14 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -1.69% წინა კვირასთან შედარებით და -3.69% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 115 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 15.00 - 16.10 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 20 ათასი აქცია შეადგინა.


თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN)



წყარო: Bloomberg

თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN) აქციები დაიხურა 15.62 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +4.27% წინა კვირასთან შედარებით და +13.35% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 244 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 15.00 - 16.86 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 30 ათასი აქცია შეადგინა.

საქართველოს კაპიტალი (CGEO LN)



წყარო: Bloomberg

Georgia Capital-ის (CGEO LN) აქციები დაიხურა 6.15 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -3.45% წინა კვირასთან შედარებით და +1.49% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 145 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 6.01 - 6.37 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 72 ათასი აქცია შეადგინა.



აქციები

აღმოსავლეთ ევროპის ბანკები

								P/E		P/B	
	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ. მლნ	ნ თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას. ცვლ.	2021F	2022F	2021F	2022F
Bank of Georgia	BGEO	GBP	15.14	744	38.1%	64.2%	24.1%	5.09x	4.90x	1.02x	0.93x
TBC	TBC	GBP	15.62	862	43.3%	62.7%	25.0%	5.52x	5.30x	1.05x	0.92x
Halyk Bank	HSBK	US\$	20.69	111,658	34.4%	90.5%	42.5%	7.12x	6.87x	1.37x	1.24x
Sberbank	SBER	USD	17.96	5,278	23.9%	79.6%	54.2%	5.20x	4.98x	1.29x	1.19x
VTB Bank	VTBR	US\$	1.52	9,876	23.3%	76.1%	59.7%	3.25x	3.29x	0.46x	0.43x
Akbank	AKBNK	TRY	5.45	28,340	11.9%	6.4%	-21.4%	3.15x	2.48x	0.38x	0.34x
Garanti	GARAN	TRY	9.12	38,304	29.0%	28.5%	-12.1%	3.28x	2.83x	0.51x	0.44x
Isbank	ISCTR	TRY	5.43	24,435	11.7%	-1.3%	-22.4%	2.75x	2.05x	0.32x	0.28x
PKO	PKO	PLN	45.98	57,475	39.7%	125.4%	60.1%	12.27x	11.46x	1.28x	1.23x
PEKAO	PEO	PLN	123.25	32,349	60.7%	161.7%	101.7%	16.56x	13.50x	1.23x	1.17x
Millennium	MIL	PLN	8.69	10,535	130.9%	263.7%	165.6%	12.44x	11.53x	1.45x	1.24x
Mbank	MBK	PLN	519.50	22,011	148.8%	249.8%	189.9%	20.89x	16.09x	1.33x	1.25x
BRD	BRD	RON	19.18	13,367	23.7%	55.7%	29.1%	11.68x	11.11x	1.55x	1.39x
Banca Transilvania	TLV	RON	2.58	16,252	17.3%	39.5%	25.9%	9.67x	9.01x	1.56x	1.44x
OTP	OTPD	USD	22.00	12,320	-1.8%	-3.5%	-3.5%	7.99x	7.56x	0.64x	0.57x
Komerční	KOMB	CZK	841.00	159,831	29.4%	79.7%	28.0%	15.16x	13.09x	1.32x	1.32x
საშუალო								8.88x	7.88x	1.05x	0.96x
მედიანა								7.55x	7.21x	1.26x	1.18x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ

ინვესტიციების მართვის შესადარი კომპანიები

								P/E		P/B	
	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ. მლნ	ნ თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას. ცვლ.	2021F	2022F	2021F	2022F
Georgia Capital	CGEO	GBP	6.15	292	9.8%	58.1%	13.9%	na	na	na	na
Tinc Comm	TINC	EUR	13.78	501	11.0%	4.0%	6.4%	na	na	na	na
Sabancı Holding	SAHOL	TRY	10.56	21,547	34.0%	23.1%	-7.9%	3.58x	3.02x	0.46x	0.38x
Deutsche Beteiligungs	DBAN	EUR	38.20	718	13.9%	32.6%	22.6%	5.20x	10.59x	1.12x	1.03x
Eurazeo	RF	EUR	81.45	6,453	19.8%	89.2%	46.8%	9.43x	12.07x	1.06x	0.96x
Carlyle Group	CG	USD	54.70	19,389	36.0%	97.8%	74.0%	16.07x	15.01x	6.28x	6.45x
საშუალო								8.57x	10.17x	2.23x	2.20x
მედიანა								7.31x	11.33x	1.09x	1.00x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტი ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოყენებისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტი ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ციკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტი ენდ თაგარტისგან მოთხოვრებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოსატყულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამოწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტთან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარულის ან მომავლის მიმართ, გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოთხოვრებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტი ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტი ენდ თაგარტი არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ გალტი ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტი ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აქვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამოწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტი ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოსატყულის ან ნაგულისხმევის, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტი ენდ თაგარტი და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნესი-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტირება უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტი ენდ თაგარტი

მისამართი: პუშკინის ქუჩა 3ა, თბილისი, 0105, საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: research@gt.ge